<u>პროექტი</u>

საქართველოს პარლამენტის განცხადება
უკრაინაში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით

ვინაიდან ევროპულ ოჯახში დაბრუნება წარმოადგენს ქართველი ხალხის ურყევ ისტორიულ არჩევანს;

ვინაიდან ევროპის კავშირის აღმოსავლეთის პარტნიორობა წარმოადგენს ყოფილი საბჭოთა სახელმწიფოების ევროპის კავშირთან დაახლოების უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს;

ვინაიდან უკრაინის ევროპის კავშირთან დაახლოება დადებითად აისახება არა მხოლოდ უკრაინელი, არამედ ქართველი ხალხის არჩევანის ხორცშესხმაზე;

ვინაიდან ცივილიზებული სამყარო პრინციპულად უარყოფს რუსეთის ფედერაციის მხრიდან *გავლენის სფეროების დოქტრინის* განხორციელების ნებისმიერ მცდელობას;

ითვალისწინებს რა, რომ უკრაინელმა ხალხმა მრავალჯერ დაადასტურა საკუთარი ევროპული არჩევანი;

ითვალისწინებს რა ევროპის კავშირთან ასოცირების ხელშეკრულებაზე უკრაინის მიერ მრავალი წლის განმავლობაში წარმოებულ მოლაპარაკებებს;

საქართველოს პარლამენტი:

1. უცხადებს სრულ მხარდაჭერას უკრაინელ ხალხს და უკრაინის სუვერენიტეტს, რაც გულისხმობს საგარეო პოლიტიკის უკრაინის ინტერესების შესაბამისად წარმოებას;

2. გამოხატავს რწმენას, რომ უკრაინის თავისუფალი ერების ევროპული ოჯახისკენ სვლის შეჩერება შეუძლებელია. ყოველგვარი ძალისხმევა რომელიც მიმართულია უკრაინის ევროპული ინტეგრაციის შესაფერხებლად თავისუფლების წინააღმდეგაა მიმართული;

3. გამოხატავს შეშფოთებას, უკრაინის მიერ ევროპის კავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერაზე უარის თქმის მიზნით, რუსეთის ფედერაციის მიერ უკრაინის ხელისუფლებაზე ბოლო თვეების განმავლობაში განხორციელებული პოლიტიკური და ეკონომიკური ზეწოლისა და შანტაჟის გამო.

4. გამოხატავს იმედს, რომ მოხერხდება არსებული წინააღმდეგობების გადალახვა, უკრაინის მთავრობა არ დაექვამდებარება რუსეთის ფედერაციის შანტაჟს და არ გადაუხვევს ევროპული ინტეგრაციის გზას.